პროლეტარეთო ყველა ეროვნისა, შეერთდით!
ტფილისი
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1928 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1928 წ. დეკემბრის 15 № 15 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

137. დადგენილება № 63 ც. ა. კ.—საბჭოთა მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლება-მოვალეობის გაფართოების შესახებ.

138. დადგენილება № 67 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—ხელისუფლების ორგანოების პასუხისმგებლობის შესახებ კოოპერატიული ორგანიზაციების მოქმედებაში მათი უკანონო ჩარევით მიყენებული ზარალისათვის.

139. დადგენილება № 68 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 111 მუხლისათვის მე-3 ნაწილისა და 114 მუხლისათვის მე-2 შენიშვეის დამატების შესახებ.

140. დადგენილება № 72 ც. ა. კ. და ს. კ. ს —საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1 მუხლის შენიშვნის დანართის მე-7 და სხვა მუხლების შეცვლისა და დამატების შესახებ.

141. დადგენილება № 74 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საქართველოს სსრ-ში ტყის აღდგენისა და ტყის გაშენების სპეციალური სახსარის სახელწოდებით სპეციალური ფონდის დაარსების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2 მუხ. შეცვლის შესახებ.

142. დადგენილება № 75 ც. ა. კ.—სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოების სამდღიურის ჩატარების შესახებ.

143. დადგენილება № 76 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სახლის დროებითი მდგმურებისა და სახლიდან დროებით წასულებისათვის საცხოვრებელ სივრცეზე უფლების შენარჩუნების პირობების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სახლის დროებითი მდგმურების შესახებ და სახლიდან დროებით წასულებისათვის საცხოვრებელ სივრცეზე უფლების შენარჩუნების პირობების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

144. დადგენილება № 77 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შესახებ,

145. დადგენილება № 78 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სანაპირო ადგილების აღმასრულებელი კომიტეტებისათვის კონტრაბანდისტების ადმინისტრატიული წესით განდევნის უფლების მინიჭების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

146. დადგენილება ს. კ. ს.—საგეგმო წესისამებრ შეშის დამზადების შესახებ.

147. დადგენილება ს. კ. ს.—უწყებათა და დაწესებულებათა საკონტროლო-სარევიზიო და საგამოკვლევო მუშაობის საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან და მის ორგანოებთან (აფხაზეთის სსრ-ში, აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში) დაკავშირების შესახებ.

148. დადგენილება ს. კ. ს.—მშენებლობის საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების მიჩენის ვადების შესახებ.

149. დადგენილება ს. კ. ს.—საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირების თაობაზე მთავრობის მიერ გაცემული დირექტივების განხორციელების შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

137. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 63 ც. ა. კ.

(სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიისა)

საბჭოთა მმართველობის ადგილობრივ ორგანოების უფლება-მოვალეობის გაფართოების შესახებ.

საბჭოთა მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში სამეურნეო, საფინანსო, კულტურული და ადმინისტრატიული ხასიათის მორიგი საკითხების სწრაფად გადწყვეტისა, ამ ორგანოების თვითმოქმედების განვითარებისათვის ხელის შეწყობისა, საბჭოების მუშაობაში მშრომელთა ფართო მასის ჩაბმისა და საბჭოების ავტორიტეტისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ა დ გ ე ნ ს:

საბჭოთა მმართველობის სხვა და სხვა აპარატებს შორის უფლება-მოვალეობის განაწილებაში შეტანილ იქნეს ქვემოდ აღნიშნული ცვლილებანი და დაევალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს შეიტანოს საქართველოს სსრ-კის მოქმედ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. ადმინისტრატიულ და საერთო მმართველობის დარგში.

1. დაეკისროს თემსაბჭოების პრეზიდიუმებს: ა) თემის ფარგლებში იძულებითი მუშაობის ბიუროების საქმიანობისათვის საერთო მეთვალყურეობა;

ბ) კრებისა, სვლისა, მანიფესტაციისა და სხვ. მოსაწყობად ნებართვის მიცემა იმ პირებისა და ორგანიზაციებისათვის, ვისთვისაც ასეთი ნებართვის მიღება სავალდებულოა;

გ) შრომელთა ორგანიზაციების მიერ არსებულ წესისამებრ მოწყობილი კრებისა, სვლისა, მანიფესტაციისა და სხვ. განხორციელებისათვის ხელის შეწყობა;

დ) ადმინისტრატიული წესით დადებულ სასჯელის აღსრულება.

2. უფლება მიეცეს სათემო საბჭოებს გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი, გარდა იმ საკითხებისა, რაც გათვალისწინებულია მომქმედი კანონით, აგრეთვე: ა) რევოლიუციონური წესრიგისა და უშიშროების დაცვისა, ბ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვისა, გ) ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლისა და დ) კეთილმოწყობის საკითხთა შესახებ.

3. უფლება მიეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ სავალდებულო დადგენილებები, გარდა იმ საკითხებისა, რაც გათვალისწინებულია მომქმედ დებულებაში „სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის და მათი დარღვევისათვის ადმინისტრატიულ სასჯელის დადების შესახებ“, აგრეთვე ნიხრის დაწესების საკითხის შესახებ: ა) ეტლებისა და სხვ. ადგილობრივი ტრანსპორტის სარგებლობისათვის და ბ) წისქვილებში მარცვლეულის დაფქვისათვის.

4. სოფლად მაგარი სასმელების ვაჭრობისათვის ნებართვის გაცემის უფლება მიეცეს სათემო საბჭოების პრეზიდიუმებს.

5. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს მიეცეს უფლება იმ საზოგადოებათა წესდებების დამტკიცებისა, რომელნიც გამორჩენის მიზანს არ მისდევენ, უკეთუ მათი მოქმედება უწყებული მაზრის ან ქალაქის ფარგლებს არ სცილდება.

6. სოფად მორწუნეთათვის ეკლესიების უფასოდ გადაცემის ხელშეკრულების დადების უფლება მიეცეთ სათემო საბჭოების პრეზიდიუმებს.

7. უფლება მიეცეს სათემო საბჭოს პრეზიდიუმს ადგილობრივ სახალხო სასამართლოებში სარჩელის წარდგენისა—კაბალურ ხელშეკრულებათა გაბათილების შესახებ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 33 მუხლის თანახმად, რისთვისაც ხელახლი რედაქცია გაუკეთდეს სათემო საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების შესახებ გამოცემული დებულების 51 მუხლის „ზ“ პუნქტს.

შენიშვნა. სათემო საბჭოების პრეზიდიუმების აღნიშნული სარჩელები განთავისუფლებულ იქნეს სასამართლო ბაჟისა და გამოსაღებისაგან.

8. დაეკისროს სათემო საბჭოებს მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კოდექსის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. უფლება მიეცეს სათემო საბჭოების პრეზიდიუმებს რეგისტრაცია გაუკეთონ: გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა და მოხალისე სახანძარო საზოგადოებათ, უკეთუ ხსენებულ საზოგადოებათა მოქმედების რაიონი თემის ტერიტორიით განისაზღვრება.

10. უფლება მიეცეს სათემო საბჭოების პრეზიდიუმებს გასცენ ხოლმე ნებართვა თემის ფარგლებში სანახაობის მოწყობისათვის, რაც შემდგომ მილიციის ორგანოებს უნდა აცნობონ. საქალაქო საბჭოების ქვემდებარე ტერიტორიაზე აღნიშნულ სანახაობათა მოწყობისათვის ნებართვის გაცემის უფლება შეენარჩუნოს პოლიტ-განათლების ორგანოებს; ამასთანავე, ამ ორგანოებმა ნებართვის გაცემა უნდა აცნობონ მილიციის ადგილობრივ ორგანოებს; ასეთ შემთხვევაში აკრძალულია მოეთხოვოს ვისმე ადმინისტრატიული ორგანოს ნებართვა.

11. წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მისცეს სათანადო ორგანოებს გარმარტება იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში უნდა მოსთხოვონ ხოლმე ბაზაზე ვაჭრობის მეთვალყურე პირებმა გლეხებს ცნობები და მოწმობები, რომ გასასყიდი საგნები, ოთხფეხი საქონელი და სხვ. მათ ეკუთვნის.

12. წინადადება მიეცეს სახალხო კომისარიატებსა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებებს გადასინჯონ არსებული სისტემა ამა თუ იმ წვრილ-წვრილი ცირკულარების გაცემისა და შესცვალონ იგი მტკიცე და მყარი ცირკულარებისა და ინსტრუქციების გამოცემით, რაც უწყებულ საკითხს ფართოდ განავროცებს და გააშუქებს.

II. სახალხო განათლების დარგში.

13. არა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე სახალხო განათლების ყველა დაწესებულება გადაეცეს იმ ადმინისტრატიულ ტერიტორიალური ერთეულის აღმასრულებელი კომიტეტისა და საბჭოს (სათემო და საქალაქო) გამგებლობაში, რომლის ბიუჯეტზედაც ხსენებული დაწესებულება იმყოფება.

შენიშვნა 1. განათლების სახალხო კომისარიატის ხელში დარჩება იმ კულტურულ--განმანათლებელ დაწესებულებათა უშუალო ხელმძღვანელობა, რომელნიც მის გამგებლობაში იმყოფებიან, და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობაში მყოფ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა საერთო ხელმძღვანელობა, როგორც საორგანიზაციო და ადმინისტრატიულ, ისე სამოსწავლო და სამეთოდო სფეროში.

შენიშვნა 2. განათლების სახალხო კომისარიატი მთლად ტეხნიკუმების ქსელის საერთო ხელმძღვანელობას განახორციელებს ადგილობრივი სახ. განათლების ორგანოების მეშვეობით—ტეხნიკუმების შესახებ არსებული განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

14. კულტ-განმანათლებელ დაწესებულებათა ქსელს შეიმუშავებს, ზემდგომი ორგანოების დირექტივების მიხედვით, სამაზრო აღმას. კომიტეტი და, განათლების სახალხო კომისარიატის მეშვეობით, წარუდგენს დასაძტკიცებლად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს.

შენიშვნა. ტეხნიკუმებისა და განათლების იმ დაწესებულებათა ქსელს, რომელნიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან, შეიმუშავებს განათლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახ. კომისარიატი და დასამტკიცებლად წარუდგენს სახალხო კომისართა საბჭოს.

15. კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულების გახსნის უფლება დამტკიცებული ქსელის ფარგლებში ეკუთვნის იმ აღმასრულებელ კომიტეტსა და საქალაქო საბჭოს, რომლის ბიუჯეტითაც გათვალისწინებულია ამ დაწესებულების შენახვა.

16. მუშათა ფაკულტეტები იმყოფებიან განათლების სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულ გამგებლობაში, რომელსაც უფლება ეძლევა დააწესოს მუშ. ფაკულტეტზე მისაღებ პირთა ყოველწლიური კონტინგენტი და გამოსცეს ინსტრუქციები მუშათა ფაკულტეტების შევსების წესის შესახებ. განათლების სახალხო კომისარიატის აღნიშნული ფუნქციები მუშათა ფაკულტეტების მიმართ გავრცელდეს ავტონომიურ რესპუბლიკებზედაც.

17. თემის ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა მიმართთ სათემო საბჭოებს უფება მიეცეს სკოლების გამგეთა და სკოლის სხვა მუშაკთა თანამდებობებზე კანდიდატების დასახელებისა და აგრეთვე ამ თანამდებობებზე შერჩეულ კანდიდატთა ჩამოცილებისა.

18. ადგილობრივი მნიშვნელობის კულტ-განმანათლებელ დაწესებულებათა ხელმძღვანელი პენსონალის დანიშვნა, დათხოვნა და გადაყვანა დატოვებულ იქნეს სამაზრო აღმ. კ-ტებისა და საქალაქო საბჭოების სახალხო განათლების ორგანოების ხელში—კუთვნილებისამერ, შვიდწლედებისა და ცხრაწლედების გამგეთა გარდა, რომელთაც დანიშნავს, დაითხოვს და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანს განათლების სახალხო კომისარიატი.

19. სამაზრო აღმ. კ-ტებისა და საქალაქო საბჭოების სახ. განათლების ორგანოების მიერ დანიშნულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა გამგეების ჩამოცილების უფლება დარჩეს განათლების სახალხო კომისარიატის ხელში.

20. სათემო, საქალაქო, სამაზრო ან ზემდგომი ერთეულის ბიუჯეტზე მყოფ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს უნდა მიეცეთ ინდივიდუალური ხარჯთაღრიცხვისა და კრედიტების განმკარგულებელთა უფლება.

21. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს ღონისძიებანი მეთოდიური ხელმძღვანელობის სისტემის გამარტივებისათვის; ამასთანავე, წერილობითი მეთოდიური ხელმძღვანელობა აგებულ უნდა იქნეს იმაზე, რომ განათლების მუშაკთა ფართო წრეების მონაწილეობით გამოცემული ჟურნალები, სამეთოდო კრებულები და სხვ. სამეთოდო ლიტერატურა უშუალოდ ვრცელდებოდეს მასიურ დაწესებულებებში; თანაც უცილებლად შემცირებულ უნდა იქნეს ცირკულარული ხასიათის ხელმძღვანელობა-

22. უფლება მიეცეს სამაზრო აღმასრ. კ-ტებს დაამტკიცონ ხოლმე, სახალხო განათლების კომისარიატის მიერ მიღებული სკოლის ტიპიური გეგმის საფუძველზე, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტისა, ისე მოსახლეობის ხარჯით ასაგები სასკოლო შენობის გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. სახალხო ჯანმრთელობის დარგში.

23. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომიმისარიატსა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს გადასცენ 1928/1929 საბიუჯეტო წლიდან ის სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებანი, რომელთაც არსებული წესით მიკუთვნებული არა აქვთ საერთო-სახელმწიფოებრივი (რესპუბლიკანური და საოლქო) მნიშვნელობა, იმ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულების აღმასრულებელ კომიტეტების გამგებლობაში, რომელთა ბიუჯეტზედაც ხსენებული დაწესებულებანი იმყოფებიან. გამონაკლისი შეეხება იმ სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათ, რომელთაც აქვთ მნიშვნელობა რამდენიმე მაზრისათვის და რომელთათვისაც ძალაში დარჩება დაქვემდებარების არსებული წესი.

24. სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა ქსელის სისტემას (სათემო, სარაიონო, საქალაქო და ისეთები, რომელთაც რამდენიმე მაზრისათვის აქვთ მნიშვნელობა) შეიმუშავებენ, ზემდგომი ორგანოების დირექტივების მიხედვით, სამაზრო აღმასრ. კომიტეტებისა ან საქალაქო საბჭოების ჯანმრთელობის განყოფილებანი და იგი, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტეტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ დადასტურების შემდეგ, წარედგინება, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მეშვეობით, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

25. დამტკიცებული ქსელის ფარგლებში სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა გახსნის უფლება ეკუთვნის იმ ორგანოს (სამაზრო აღმ. კ-ტს, საქალაქო საბჭოს ან სათემო საბჭოს), რომლის ბიუჯეტითაც გათვალისწინებულია მათი შენახვა.

26. სამაზრო, საქალაქო ან სათემო ბიუჯეტზე მყოფ სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათ მიეცეს ინდივიდუალური ხარჯთაღრიცხვისა და კრედიტის განმკარგულებელთა უფლება.

27. სამაზრო და საქალაქო სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა კრედიტების განმკარგულებელთ უფლება მიეცეს განახორციელონ აღნიშნულ დაწესულებათა მედიკამენტებით მომარაგება შესყიდვით და შეკვეთით სახარჯთაღრიცხვო ასიგნვების ფარგლებში.

28. სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა ხელმძღვანელი პერსონალის (საექიმო, სასანიტარო-სამედიცინო და პასუხისმგებელ სამეურნეო) დანიშვნა, დათხოვნა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა შეუძლიან იმ აღმ. კომიტეტებისა და საბჭოების ჯანმრთელობის ორგანოებს, რომელთა ბიუჯეტზედაც ის დაწესებულებანი იმყოფებიან. სათემო ბიუჯეტზე მყოფ სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა ხელმძღვანელი პერსონალი დანიშნულ დათხოვნილ და გადაყვანილი იქნება მაზრის ჯანმრთელობის ორგანოების მიერ სათემო საბჭოების პრეზიდიუმებთან შეთანხმებით.

სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულების არახელმძღვანელი პერსონალის დანიშვნისა, დათხოვნისა და გადაყვანის უფლება ეძლევა ამავე დაწესებულების ხელმძღვანელს სათანადო აღმ. კ-ტის დამტკიცებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. დაეკისროს სათემო აღმ. კ-ტებს გაგზავნონ ხოლმე გლეხები სპეციალური მკურნალობისათვის ჯანმრელობის განყოფილების განრიგების მიხედვით.

30. სათემო საბჭოების ფუნქციებს მიეკუთვნოს სამაზრო აღმ. კ-ტის ან ზემდგომ ორგანოს ქვემდებარე კულტურულ-განმანათლებელ და სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა მოქმედებისათვის მეთვალყურეობა და მათი მუშაობისათვის ხელის შეწყობა.

IV. შ რ ო მ ი ს დ ა რ გ შ ი.

31. დაეკისროს სათემო საბჭოებს:

ა) თემის ფარგლებიდან სამუშაო საშოვრისათვის წასულ მოსახლეობის აღნუსხვა;

ბ) ზედამხედველობა და კონტროლი სოფლად მუშა-ძალის მოგროვების საქმისათვის, დაქირავებული მუშების აღნუსხვა და მათი რაოდენობის შესახებ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებისათვის ცნობების წარდგენა მომქმედი წესების თანახმად;

გ) შრომის სახ. კომისარიატის ორგანოების ცნობების მიხედვით მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, თუ რა და რა ადგილებშია საჭირო მუშა-ძალა.

V. სოციალური უზრუნველყოფის დარგში.

32. სამაზრო ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, რომლითაც გათვალისწინებულია ინვალიდთათვის პენსიის მიცემა, ბიუჯეტით გადადებული თანხა სათანადო აღმ. კომ-ტის მიერ განაწილებულ იქნება თემთა შორის, ინვალიდებისათვის პენსიის დანიშვნის საკითხის განხილვის დროს. სამაზრო აღმ. კომიტეტი წინასწარ მოსთხოვს სათანადო სათემო საბჭოს დასკვნას პენსიაზე მისაღებ პირთა პერსონალური შედგენილობის შესახებ. ხსენებული საკითხის განხილვის შემდეგ სამაზრო აღმ. კ-ტი მთლად ამ საკითხთან დაკავშირებულ მასალას გაუგზავნის სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს.

33. პენსიის დანიშვნის არსებული წესი გამარტივებულ იქნეს შემდეგ საფუძველზე:

ა) ინვალიდთა სამედიცინო შემოწმება და საინვალიდო ჯგუფის დაწესება სოფლისა და თემის კონტინგენტისათვის უნდა სწარმოებდეს უახლოეს საექიმო-საექსპერტო კომისიის მეშვეობით;

ბ) უკეთუ სოფლად მცხოვრებ ქვრივსა და ობოლს არ აღმოაჩნდება საბუთი, რაც ამტკიცებდეს, რომ მისი მრჩენელი იმპერიალისტურ ან სამოქალაქო ომში მოკვდა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა, სათანადო ცნობებს გასცემს სათემო აღმ. კ-ტი მოწმეთა ჩვენების თანახმად; ამასთავე, სათემო აღმ. კ-ტის უარი აღნიშნული ცნობის გაცემაზე შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სამაზრო აღმ. კ-ტში;

გ) დაევალოს სათემო აღმ. კ-ტეტებს დაუყოვნებლივ აცნობონ ხოლმე სამაზრო აღმ. კომიტეტებს პენსიონერების ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

34. სოციალური უზრუნველყოფის საკითხებისათვის სოც. უზრუნველყოფის სამაზრო ორგანოებთან მოეწყოს საკონფლიქტო კომისიები. პენსიის მთხოვნელი პირის საჩივარი სოციალური უზრუნველყოფის სათემო და საქალაქო კომისიის დადგენილებაზე გადასწყდება სოციალური უზრუნველყოფის სამაზრო ორგანოსთან არსებულ საკონფლიქტო კომისიაში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

35. წინადადება მიეცეს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს:

ა) შესცვალოს სოც. უზრუნველყოფაზე მყოფ პირთათვის პენსიისა და დახმარების გაცემის წესი, რისთვისაც მხედველობაში უნდა მიიღოს ის მოსაზრება, რომ საჭიროა პენსიის გაცემის პუნქტები მაქსიმალურად დაუახლოვდენ მოსახლეობას; კერძოდ საამისოდ გამოყენებულ უნდა იქნეს ფოსტა-ტელეგრაფის კონტორები, შემნახველი სალაროები და სხ.

ბ) გაამარტივოს პერსონალური პენსიის დანიშვნის წესი იქამდე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო თხოვნის გადაწყვეტა არა უგვიანეს, ვიდრე ერთი თვის განმავლობაში დღიდან სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ თხოვნის მიღებისა.

VI. ადგილობრივი ბიუჯეტის დარგში.

36. ადგილობრივი ბიუჯეტის (აფხაზეთის სს-რისა, აჭარისტანის ავტონომიური სს-რისა, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქისა, მაზრებისა, ქალაქებისა) აგებას საფუძვლად დაედვას ის პრინციპი, რომ თვითეული გადიფერენცებული ბიუჯეტი მომსახურეობას უწევდეს ადგილობრივი მეურნეობის ყველა იმ საჭიროებას, რასაც მნიშვნელობა აქვს სათანადო ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულისათვის მთლად ან მისი ცალკე ნაწილებისათვის, რომელთაც საბიუჯეტო უფლება არ მოეპოებათ.

37. უკეთუ ადგილობრივი (მაზრისა, ქალაქისა, თემისა) ბიუჯეტის დამტკიცება სათანადო საბჭოთა ყრილობის და საბჭოების მიერ ახალ საბრუჯეტო წლის დაწყებამდე შეუძლებელია, უდეფიციტოდ შედგენილი ადგილობრივი ბიუჯეტი, სამაზრო აღმ. კ-ტის პლენუმის, ხოლო ავტონომიურ ერთეულში—სათანადო ცენ. აღმ. კ-ტის მიერ მიღების შემდეგ, შეიძლება უშუალოდ შესრულებულ იქნეს. სათანადო სამაზრო აღმ. კ-ტის პლენუმის, ხოლო, ავტ. ერთეულში სათანადო ცენ. აღმ. კ-ტის მიერ მიღებული დეფიციტიანი ბიუჯეტით, ვიდრე იგი საბოლოოდ დამტკიცდებოდეს, კრედიტი გაიხსნება არა უმეტეს, ვიდრე წინა წლის ბიუჯეტის $^1/_{12}$-დის რაოდენობით, იმ ხარჯების გამოკლებით, რაც უკვე წინა წლის ბიუჯეტით მოხსნილია ან რაც უწყებული წლის ბიუჯეტით შემცირებულია.

38. კრედიტების გადატანის უფლება მიეცეს:

ა) სათემო საბჭოების პრეზიდიუმებს—მათ ბიუჯეტში და მათ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა შუამდგომლობით ამ დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებში ერთი პარაგრაფის ფარგალში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სამაზრო აღმ. კ-ტეტებს—მათ ბიუჯეტში ერთი კარის ფარგალში თანხის განუსაზღვრელად, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით,—კარიდან კარში არა უმეტეს იმ კარის ხარჯის 10%-ის რაოდენობისა, რომლიდანაც კრედიტის გადატანა მოხდება. არ შეიძლება სამუშაო ხელფასისა, წარვლინებისა და ადგ. დეწესებულებების საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების მუხლებში სხვა მუხლიდან კრედიტის გადატანა და აგრეთვე კრედიტის გადატანა სამუშაო ხელფასის მუხლიდან სხვა მუხლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამუშაო ხელფასის მუხლით ეკონომიაა მიღწეული.

39. უკეთუ მაზრისა და მისი ქვემდებარე ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულის ბიუჯეტით აღმოჩნდება ახალი ან გამოუყენებელი შემოსავალი, სამაზრო აღმ. კ-ტეტებს უფლება აქვთ დამატებითი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებისა, რაც შემდგომ უნდა ეცნობოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

40. თემისა, ქალაქისა ან მაზრის ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ცალკეულ დაწესებულებათ, სათანადო აღმასკომების დადგენილებით, მიენიჭოს კრედიტის მესამე ხარისხოვანი განმკარგულებელის უფლება.

41. უფლება მიეცეს სამაზრო და სათემო აღმ. კ-ტებსა და სათემო საბჭოების პრეზიდიუმებს მათ სალაროში შესული სახელმწიფო გადასახადისა და შემოსავლის თანხიდან დაიჭირონ და თავისი ბიუჯეტის შემოსავლად ჩარიცხონ ამ ბიუჯეტის სასარგებლოდ დაწესებული ანარიცხები. იმ სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ნუსხას, საიდანაც სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ უშუალოდ დაიჭირონ მათი ხვედრი ანარიცხები, დაადგენს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

42. დაეკისროს სათემო საბჭოებს—გაანაწილონ სახელმწიფო საგადანაკვეთო დაზღვევის შელავათები სადასაზღვევო გადასახადის გადამხდელთა შორის ზემდგომი ორგანოების მიერ დაწესებული საშელავათო ფონდის ფარგლებში.

43. ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისა, მსვლელობისა, დამტკიცებისა და შესრულებისათვის საკანონმდებლო წესისამებრ დამტკიცებულ წესების უქონლობის გამო, დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს პროექტი სათანადო საკანონმდებლო აქტისა, რომლითაც აცილებულ იქნება აღნიშნული ნაკლი, და გაითვალისწინება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებათა გაფართოება ამ სფეროში.

VII. ადგილობრივ მეურნეობის დარგში.

44. მიენდოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სამაზრო აღმ. კ-ტეტებს, საქ-რთველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თანხმობით, გამოარკვიონ,—თემისა, მაზრისა და ცენტრალური ოგანოების გამგებლობაში მყოფ ადგილობრივ მცირე სამრეწველო საწარმოთა შორის რომელი უნდა გადაეცეს ზემდგომ ან ქვემდგომ ადგილობრივ ორგანოებს, რისთვისაც მხედველობაში უნდა მიიღონ როგორც იმ ადგილობრივი ორგანოების ინტერესები, რომელნიც აღნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შნულ საწარმოთა ესპლოატაციას ეწევიან, ისე ამ საწარმოთა შენარჩუნებისა და მიზანშეწონილი ექსპლოატაციის საჭიროება.

45. უფლება მიეცეს დამოუკიდებელი ბიუჯეტის მქონე სათემო საბჭოებს აიღონ დამოუკიდებლად მოკლევადიანი სესხი სათანადო დეკრეტით გათვალისწინებული. საერთო ნორმის ფარგლებში, საერთო რაოდენობით ერთი წლის განმავლობაში არა უმეტეს თვითეული ბიუჯეტის წლიური თანხის 10%-ისა, და ვადით არა უმეტეს 12 თვისა.

46. სათემო საბჭოების ფუნქციებს მიეკუთვნოს: ა) სათემო მნიშვნელობის ქონებისა და საწარმოთა გამგებლობა, მათი ექსპლოატაცია უშუალოდ ან, მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, იჯარად გაცემით; ბ) მომქმედი კანონმდებლობის მიხედვით ახალი, როგორც წარმოებითი, ისე სავაჭრო ხასიათის საწარმოთა მოწყობა, მაზრის მრეწველობის განვითარების გეგმასთან შეგუებით; გ) იმ ქონების საინვენტარო აწერილობის შედგენა, რაც სათემო საბჭოს გამგებლობაშია; დ) ყველა სხვა საწარმოთა მოქმედებისათვის მეთვალყურეობის გაწევა მათ ოპერატიულ მუშაობაში ჩაურევლად, ხოლო სათემო საჭოს მიერ შემჩნეული ყველა დეფექტის სათანადო ორგანოებისათვის შეტყობინებით.

47. დაეკისროს სამაზრო აღმ. კომიტეტებს ადგილობრივი მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოთა საფინანსო-წარმოებითი გეგმების შედგენა, რაც შემდგომ დასამტკიცებლად სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარედგინება.

VIII. სოფლის მეურნეობის დარგში.

ა) მიწის მეურნეობა.

48. გადაეცეს მომავალი საბიუჯეტო წლიდან სამაზრო საადგილ-მამულო ორგანოებს—კუთვნილებისამებრ უშუალო გამგებლობაში, შესანახი თანხის ადგილობრივ ბიუჯეტზე გადატანით, ამ ჟამად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში ქონებული:

ა) უდეფიციტო სანერგეები ამერიკული ვაზისა და ხეხილისა, რაც სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით ცნობილია ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე სანერგეებად;

ბ) სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის საწყობები, გარდა ცენტრალურისა.

ბ) სახელმწიფო ქონება.

49. უფლება მიეცეს სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებებს გადასწყვიტონ ხოლმე საკითხი იმ ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მიწების საშრომი იჯარით გაცემის შესახებ, რაც მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ სიებშია შეტანილი გარდა საბჭოთა მეურნეობებისა და საეროთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე სპეციალური ფონდის მიწებისა, რომელთა სიებსაც სახალხო კომისართა საბჭო ამტკიცებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

50. უფლება მიეცეს სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებებს ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მიწებიდან სკოლებისათვის, საავადმყოფოებისათვის და სხვ. მიწის ნაკვეთების გადაცემისა.

გ) თევზის ჭერა-მოშენება.

51. თევზის საჭერი ყველა ადგილი გადაეცეს სათანადო სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს და მიეცეს მათ უფლება ხსენებული ადგილების ექსპლოატაციისა არსებული წესების მიხედვით.

დ) მიწათმოწყობა.

52. უფლება მიეცეს სამაზრო აღმ. კ-ტებს გადასწყვიტონ ხოლმე, აღძრულ შუამდგომლობის გამო, აქა და იქ მიწათმოწყობის მიზანშეწონილობისა და ჯერობის და აგრეთვე უარყოფის საკითხი.

უფლება მიეცეს სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს აღძრან ხოლმე, კანონით განსაზღვრული წესისამებრ, სარჩელი იმ შრომითი სარგებლობის მიწების ჩამორთმევის შესახებ, რაც არა სათანადოდ არის გამოყენებული.

53. დაეკისროს სათემო საბჭოებს: ა) მისცენ ხოლმე დასკვნა შენობებისა და სამეურნეო გაუმჯობესებათა შეფასების შესახებ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების ჩამორთმევის დროს; ბ) მისცენ ხოლმე დასკვნა თემის ტერიტორიაზე მიწათმოწყობის პროექტების შესახებ; გ) აწრმოონ მიწის-მოსარგებლეთა კომლობრივი სიები, დააწესონ ფაქტიური კანონშეწონილი მიწათ-სარგებლობა და გასცენ ხოლმე საამისო ცნობები.

54. დაეკისროს სათემო საბჭოებს მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის სფეროში საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიებისა და აგრეთვე ხელისუფლების სხვა ორგანოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის თვალყურის დევნა.

55. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედებისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებს გადასინჯონ არსებული წესი საადგილ-მამულო დავათა გადაწყვეტის შესახებ—სამართლის წარმოების გამარტივებისა და დაჩქარებისათვის.

IX. სამხედრო საქმეთა დარგში.

56. სამაზრო აღმ. კ-ტეტებთან ერთად, მათივე ხელმძღვანელობით დაეკისროს სათემო საბჭოებს აგიტაციის საშუალებით მოსახლეობის მომზადება ტერიტორიალური ჯარების სახმედრო სწავლებისა და სასწავლო შეკრების წინ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური ამასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. სექტემბრის 12.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

138. დადგენილება № 67 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ხელისუფლების ორგანოების პასუხისმგელობის შესახებ კოოპერატიული ორგანიზაციების მოქმედებაში მათი უკანონო ჩარევით მიყენებული ზარალისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აეკრძალოს ხელისუფლების ყველა ორგანოს:

ა) კოოპერატიული ორგანიზაციის ისეთ საოპერაციო მოქმედებაში ჩარევა, რასაც იგი ანხორციელებს თავის წესდების მიხედვით, ან არსებული წესით დამტკიცებული გეგმისა ან სახელმწიფო საწარმოსა და დაწესებულებასთან დადებული გენერალური ხელშეკრულების შესასრულებლად, კერძოდ, აღნიშნული ორგანიზაციისათვის განკარგულების მიცემა ნისიად საქონლის გაცემის შესახებ, ვისთვისაც უნდა იყოს;

ბ) კოოპერატიული ორგანიზაციისათვის განკარგულების მიცემა, რათა მან გასწიოს ისეთი ხარჯი, რაც გათვალისწინელი არ არის მის წესდებაში და სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობაში, აგრეთვე ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტებისა, და საქალაქო საბჭოების მიერ, არსებული წესისამებრ, გამოცემული სავალდებულო დადგენილებებში, როგორი ხარჯიცაა: საქველმოქმედო მიზნით ფულის გაღება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარება და სხვ..

2. აეკრძალოს ხელისუფლების ორგანოს, რომელიც კანონით საამისოდ უფლებამოსილი არ არის:

ა) მოახდინოს კოოპერატიული ორგანიზაციის რევიზია და ყოველგვარი გამოკვლევა, უკეთუ ეს კანონში არ არის გათვალისწინებული;

ბ) მოსთხოვოს კოოპერატიულ ორგანიზაციას ანგარიშებისა, მოხსენებებისა, ცნობებისა და სხვა მასალის წარდგენა;

გ) მისცეს კოოპერატიულ ორგანიზაციას განკარგულება საორგანიზაციო საკითხების გამო, რაც კოოპერატიულმა ორგანიზაციამ დამოუკიდებლად უნდა გადასწყვიტოს თავისი წესდებისა და მომქმედი კანონების მიხედვით, როგორიცაა: წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) მოწვევა, მართვა-გამგეობის და საკონტროლო ორგანოების არჩევა, თანამშრომლების სამსახურიდან მოხსნა ან მათ ნაცვლად სხვების მიღება, სამოქმედო გეგმის დამტკიცება და სხვ..

3. ხელისუფლების ოგანო ქონებრივად პასუხს აგებს იმ ზარალისათვის, რაც კოოპერატიულ ორგანიზაციას მოუვა აღნიშნული ორგანოს ხელქვეითი თანამდებობის პირის ისეთი სამსახურებრივი მოქმედებით, რითაც დარღვეულ იქნება ამა დადგენილების რომელიმე მოთხოვნა, ეკეთუ თანამდებობის პირის ბრალი ასეთ დარღვევაში დამტკიცდება სისხლის სამართლის ან ადმინისტრატიული წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელისუფლების ორგანოს, თავისი მხრით, უფლება აქვს დაადოს თანამდებობის პირს დანაზღი ისეთი რაოდენობით, რაც მან დაზარალებულ კოოპერატიულ ორგანიზაციას გადაუხადა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. სტურუა.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. აგვისტოს 1.
ტფილისი—სასახლე.

---

139. დადგენილება № 68 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 111 მუხლისათვის მე-3 ნაწილისა და 114 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სისხ. სამ. კოდექსის (1928 წ. რედაქც.) 111 მუხლს დაემატოს მე-3 ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

იგივე პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრებს ერთსადაიმავე დროს ორ ან უფრო მეტ საურთიერთო დახმარების საზოგადოებაში მონაწილეობისათვის, უკეთუ საზოგადოების წესდებაში ამისათვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლის წესით დევნა.

2. იმავე კოდექსის 114 მუხ. დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა 2. უკეთუ ის პირი, რომელსაც საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში თანამდებობა არჩევით უჭირავს, დაარღვევს კანონს ან საზოგადოების წესდებას, იგი პასუხს აგებს თანამდებობის პირის თანაბრად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. სტურუა.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. აგვისტოს 1.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

140. დადგენილება № 72 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1 მუხლის შენიშვნის დანართის მე-7 და სხვა მუხლების შეცვლისა და დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ და სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამხედრო დანაშაულთა დებულების სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ 1927 წ. ივლისის 27-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 50 №-რი მუხ. 504) დადგენილების მე-6, 7 და 11 მუხლებისა და იმავე ორგანოების მიერ „სამხედრო ტრიბუნალებისა და სამხედრო პროკურატურის დებულების შევსების შესახებ“ 1928 წ. მარტის 21-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1928 წ. მე-19 №-რი, მუხ. 161) დადგენილების თანახმად, —სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1 მუხლის შენიშვნის დანართის „საქმის წარმოება სამხედრო სასამართლო დაწესებულებაში“ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-5 №-რი, მუხ. 80)—მე-7 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 7. ისეთი დანაშაულის საქმის წინასწარი გამოძიება, რაც გათვალისწინებულია სამხედრო დანაშაულთა დებულების 2-11, 13-16, 19, 22, 27-31 მუხ., სავალდებულო არ არის და გამომძიებელს შეუძლიან მოახდინოს იგი ყოველ ცალკე შემთხვევაში ან საკუთარ თაოსნობით, ან პროკურორის წინადადებით, ან და სამხედრო ტრიბუნალის დადგენილებით.

ყველა სხვა, სისხლ. სამ. საპრ. კოდ. 27 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტ. აღნიშნული, დანაშაულის საქმის წინასწარი გამოძიება სავალდებულოა.

საკითხი იმის შესახებ, სავალდებულოა თუ არა წინასწარი გამოძიება სისხლ. სამ. საპრ. კოდ. 27 მუხ. „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტ. გათვალისწინებული დანაშაულის საქმისა, უნდა გადაწყდეს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლ. სამ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების თანახმად (სამხ. ტრიბ. დებ. მუხ. 25).

II.

იმავე დანართს დაემატოს მე-15 მუხლის მე-5 ნაწილი და მე-20 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 15, ნაწ. 5. ოლქის (ფრონტის, ცალკე არმიის) სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარეს უფლება აქვს გამოითხოვოს სათანადო ოლქის (ფრონტის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე არმიის) შედგენილობაში შემავალი კორპუსისა და დივიზიის სამხედრო ტრიბუნალიდან სასამართლო საქმე, რომელზედაც გამოტანილია განაჩენი ან დადგენილება საქმის მოსპობის შესახებ. უკეთუ ოლქის (ფრონტის, ცალკე არმიის) სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე გამოთხოვნილი საქმის წარმოებაში არსებით დარღვევას დაინახავს, იგი გაუგზავნის საქმეს სსრკ-ის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარეს. გამოთხოვნილი საქმე შემდეგში წარიმართება მე-16 მუხლის თანახმად.

მუხ. 20. ომიანობის დროს ისეთი განაჩენის აღსრულება, რომლითაც სამხედრო მსახურს გადაწყვეტილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, შეიძლება, სამხედრო ტრიბუნალის დადგენილებით, გადადებულ იქნეს საომარ მოქმედებათა დამთავრებამდე, იმ პირობით კი, რომ მსჯავრდადებული გაიგზავნება მომქმედ არმიაში (სამხ. ტრიბ. დებ. 31[1] მუხ.).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სსსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. აგვისტოს 29.
ტფილისი—სასახლე.

---

141. დადგენილება № 74 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საქართველოს სსრ-ში ტყის აღდგენისა და ტყის გაშენების სპეციალური სახსარის სახელწოდებით სპეციალური ფონდის დაარსების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2 მუხ. შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მე-2 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის ივლისის 10-ის თარიღისა 65 №-ის დადგენილებისა „საქართველოს სსრ-ში ტყის აღდგენისა და ტყის გაშენების სპეციალური სახსარის სახელწოდებით სპეციალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონდის დაარსების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-რი, მუხ. 103) შეიცვალოს შემდეგნაირად:

„2. პროცენტიული დანარიცხი დაწესდება 15%-ის რაოდენობით—ფოთლიანი და 25%-ის რაოდანობით წიწვიანი ტყისათვის“.

სრულიად საქართველოს სსრ ცენტრალური
აღმასრულებ. კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **ვ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. აგვისტოს 29.
ტფილისი—სასახლე.

---

142. დადგენილება № 75 ც. ა. კ.

სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოების სამდღიურის ჩატარების შესახებ.

სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოების მატერიალური სახსარის გაძლიერებისათვის და მისი იდეებისა და მიზნების პოპულიარიზაციისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებას მოაწყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამდღიური 1928 წლის ნოემბრის 9, 10 და 11-ს ამა დადგენილების ქვემოაღ-აღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებულ საფუძველზე.

2. აღნიშნული სამი დღის (ნოემბრის 9, 10 და 11-ს) სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებას ნება დაერთვას:

ა) შეაგროვოს ყულაბებით ნებაყოფლობითი გამოსაღები ყოველგან: ქუჩებ-ჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებების სადგომებში;

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები საზოგადოების მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენოს საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრების სადგომები, აგრეთვე რადიო-გადაცემა.

3. შემოღებულ იქნეს იმავე სამი დღის განმავლობაში სპეციალური დაბეგვრის სახით სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოების სასარგებლოდ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სპეციალური გამოსაღები ყველა გასართობ-სანახაობის (თეატრი, ცირკი, კინო, დოღი და სხვ.) ბილეთებზე ამ ბილეთების ღირებულების 10%-ის რაოდენობით;

ბ) სპეციალური გამოსაღები ყველა რესტორანისა, სასტუმროს და სასადილოს ბრუნვაზე—მათი სამი დღის საშუალო ბრუნვის 10%-ის რაოდენობით;

გ) სპეციალური გამოსაღები აბანოებში ცალკე ნომრების სარგებლობისათვის არსებული ნიხრით დაწესებული ამ ნომრების ღირებულების 10%-ის რაოდენობით.

შენიშვნა. ამა მუხლის „ა" პუნ. აღნიშნული გამოსაღები გადახდევინებულ იქნეს იმ გამოსაღების გარეშე, რაც საამისოდ დაწესებულია საკავშირო კანონმდებლობის წესით.

4. ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ განახორციელებს სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოება ამ მიზნისათვის მოწყობილი სამდღიურის ჩამტარებელი განსაკუთრებული მთავარი რესპუბლიკანური კომიტეტის მეშვეობით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ოქტომბრის 27.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი"-ს მე-254 №-ში 1928 წ. ნოემბრის 1-ს.

---

143. დადგენილება № 76 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სახლის დროებითი მდგმურების და სახლიდან დროებით წასულებისათვის საცხოვრებელ სივრცეზე უფლების შენარჩუნების პირობების დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება სახლის დროებითი მდგმურების შესახებ და სახლიდან დროებით წასულებისათვის საცხოვრებელ სივრცეზე უფლების შენარჩუნების პირობების შესახებ. დებულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესე შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 171 მუხლის დანართად.

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტ. აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. აპრილის 25.
ტფილისი-სასახლე.

დ ე გ უ ლ ე ბ ა

სახლის დროებითი მდგმურების შესახებ და სახლიდან დროებით წასულებისათვის საცხოვრებელ სივრცეზე უფლების შენარჩუნების პირობების შესახებ.

I. სახლის დროებითი მდგმური.

1. დროებით მდგმურად ჩაითვლება ის პირი, ვისაც ბინის ან ოთახის დამქირავებელი უფლებას მისცემს დროებით იცხოვროს მასთან მისი საცხოვრებელი სივრცის ნორმის ან ოთახის ზედმეტი სივრცის ფარგალში.

შენიშვნა. ზედმეტ საცხოვრებელ სივრცეს ცალკე ოთახის სახით, რომელსაც ცალკე შესასვლელი აქვს, მდგმური ვერ გადასცემს მესამე პირს სახლის სამოურაოს თანხმობის გარეშე.

2. ბინის ან ოთახის დამქირავებლის მიერ თავისთან დროებითი მდგმურის ჩასახლებისათვის სახლის სამოურაოს (სახლის პატრონის) თანხმობა საჭირო არ არის.

ხოლო დროებითი მდგმურის ჩასახლების შესახებ, როგორც თვით დროებითმა მდგმურმა, ისე მისმა თავისთან ჩასახლებულმა ბინისა თუ ოთახის დამქირავებელმა უნდა განუცხადოს სახლის სამოურაოს (სახლის პატრონს) წერილობით, ბარათის ჩამორთმევით, და ამ განცხადებაში აღნიშნონ დროებით მდგმურის გვარი, სახელი, მამის სახელი და მოსაქმეობა, ჩასახლების დრო და დროებით ცხოვრების ვადა, უკეთუ ეს ვადა განსაზღვრულია.

სახლის სამოურაო (სახლის პატრონი) მოვალეა ჩასწეროს დროებითი მდგმური სახლის დავთარში სამი დღედაღამის განმავლობაში.

დავთარში ჩაწერა არავითარ დამოუკიდებელ უფლებას არ ანიჭებს დროებითი მდგმურს საცხოვრებელი სივრცის მიმართ.

3. სახლში დროებით ცხოვრების უფლება მოისპობა:

ა) იმ ვადის გასვლის შემდეგ, რა ვადითაც ჩასახლებული მიღებულ იყო;

საქართველოს სახელმწიფო

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

ბ) იმ მომენტიდან, როდესაც ბინის ან ოთახის დამქირავებელი უარს ეტყვის დროებითი მდგმურს მასთან ერთად ცხოვრებაზე, უკეთუ ერთად ცხოვრების ვადა განსაზღვრული არ იყო;

გ) იმ მომენტიდან, როდესაც მუდმივი მდგმური, რომელმაც თავისთან დროებითი მდგმური ჩაისახლა, გამოსახლებულ იქნება, თუნდაც დროებითი ცხოვრების ვადა ამ გამოსახლების შემდეგ გადიოდეს.

4. დროებით მდგმურის გამოსახლება სასამართლოს წესით მოხდება.

II. სახლიდან დროებით წასული მდგმურისათვის საცხოვრებელ სივრცეზე უფლების შენარჩუნების პირობები.

5. მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან დროებით წასულ პირს უფლება საცხოვრებელ სივრცეზე შეენარჩუნება, უკეთუ იგი ქირას თავის დროზე გადაიხდის, შემდეგი ვადების განმავლობაში იმისდამიხედვით, თუ რა მიზეზებმა გამოიწვია მისი წასვლა:

ა) იმ მუშა-მოსამსახურეს, რომელიც წარვლინებულია დაწესებულების ან საწარმოს ან და პარტიული თუ პროფესიონალური ორგანიზაციის მიერ—წარვლინების ვადის განმავლობაში;

ბ) სამკურნალოდ წასულ პირს არა უმეტეს ოთხი თვისა; ხოლო უკეთუ მკურნალობა საჭიროებს უფრო ხანგრძლივ ვადას, მთლად ავადმყოფობის განმავლობაში, იმ პირობით კი, რომ სახლის სამოურაოს (სახლის პატრონს) გაუგზავნის მილიციის მეშვეობით სათანადო ექიმის მოწმობას;

გ) საავადმყოფოში მოთავსებულს—საავადმყოფოდან გამოწერამდე;

დ) საგარაკოდ წასულს—ზაფხულის თვეების განმავლობაში, ხოლო არა უმეტეს სამი თვისა;

ე) არდადეგების დროს გასულ მასწავლებელთ და მოსწავლეთ—არდადეგის განმავლობაში;

ვ) დაპატიმრებულს, გამოძიებაში მყოფს—განთავისუფლებამდე; მსჯავრდადებულს, უკეთუ მას გადაეწყვიტა არა უმეტეს ექვსი თვისა—ამ ხნის განმავლობაში;

ზ) პირადი საქმის გამო დროებით წასულ მოქალაქეს—ვადით არა უმეტეს სამი თვისა.

6. მდგმური წასულად ჩაითვლება იმ დღიდან, რა დღესაც წასვლა აღინიშნება საბინაო დავთარში, სადაც ჩაიწერება აგრეთვე დროებით წასვლის მიზეზები.

7. დროებით წამსვლელმა პირმა სახლის სამოურაოს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) წარვლინებულმა მუშა-მოსამსახურემ—სამსახურის ადგილის მოწმობა;

ბ) ავადმყოფმა მუშა-მოსამსახურემ—საექიმო-საკონტროლო კომისიის ან სარაიონო თუ მისი თანაბარი ექიმის მოწმობა, ხოლო არაშრომითმა ელემენტმა იმ ექიმის მოწმობა, რომელიც მას მკურნალობს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დაპატიმრებულმა—ასლი დადგენილებისა დაპატიმრების შესახებ ან სასამართლოს განაჩენის ასლი;

დ) სააგარაკოდ ან პირადი საქმის გამო წამსვლელმა—სათანადო წერილობითი განცხადება.

შენიშვნა. უკეთუ დაპატიმრებული არ წარადგენს ამ მუხლის „გ“ პუნ. აღნიშნულ ასლებს, სახლის სამოურაოს (სახლის პატრონს) შეუძლიან თვით მიიღოს ეს ასლები სათანადო სახელმწიფო დაწესებულებისა ან პირისაგან.

8. უკეთუ შეუძლებელი იქნება დოკუმენტის დედნის დატოვება სახლის სამოურაოში, დროებით წამსვლელი დაუტოვებს სახლის სამოურაოს ამ დოკუმენტის ასლს, რასაც დაამოწმებს თვით სახლის სამოურაო.

9. უკეთუ დროებით წასული მდგმური, მე-6 მუხ. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, შვიდი დღის განმავლობაში არ დაბრუნდა, მიჩნეულ იქნება, რომ იგი გამოსახლდა, ხოლო საცხოვრებელი სივრცე, რაც მას ეჭირა, განთავისუფლებულად და სახლის სამოურაოს (სახლის პატრონის) განკარგულებაში გადასულად ჩაითვლება.

10. უკეთუ ვადაზე არდაბრუნებული მდგმურის ბინა თუ ოთახი დაკეტილია ან შიგ მისი ქონებაა მოთავსებული, ბინის თუ ოთახის დაცლა სასამართლოს წესით უნდა მოხდეს.

11. წასული მდგმურის გამოსახლება მის ოჯახზე არ გავრცელდება. ის საცხოვრებელი სივრცე, რაც წასულ პირს უჭირავს, განთავისუფლებულად ითვლება და ან სახლის სამოურაოს (სახლის პატრონს) გადაეცემა, უკეთუ იგი ცალკე ოთახია, რომელსაც ცალკე შესასვლელი აქვს, ან წასული პირის ოჯახის სარგებლობაში დარჩება საერთო საფუძველზე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 258 №-ში 1928 წ. ნოემბრის 6 ს.

---

144. დადგენილება № 77 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შესახებ.

2. ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული დებულების სამოქმედოდ შემოღებისთანავე გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებელი კომიტეტის მიერ 1925 წ. იანვრის 12-ს დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალ. კომ. საბჭ. თავმჯდ. **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. აპრილის 11.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შესახებ.

I. ზ ო გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი.

1. შინაგან საქმეთა სახალო კომისარიატი არის რესპუბლიკის შინამმართველობის ცენტრალური ორგანო და იმავე სფეროში სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის აღმასრულებელი აპარატი.

2. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სათავეში სდგას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

3. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ჰყავს მოადგილე; მასთანვე არსებობს კოლეგია, რომლის წევრებსაც ჰნიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

4. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადგილი სახელმწიფო ორგანოთა საერთო სისტემაში, აგრეთვე შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა, მისი მოადგილისა და კოლეგიის წევრების უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების ზოგადი დებულებით.

II. **შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანი.**

5. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ძირითადი მიზანია:

ა) თვალყური ადევნოს ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა ადმინისტრატიული ხასიათის დადგენილებათა და განკარგულებათა განხორციელებას და სათანადო დაწესებულებათა და პირთა მიერ ზედმიწევნით შესრულებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოაწყოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს რევოლიუციონური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვას;

გ) განახორციელოს საბჭოთა ხელისუფლების შრომა-გასწორების პოლიტიკა და ხელმძღვანელობა გაუწიოს პენიტენციალურ საქმეს.

6. წინა მუხლში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი:

ა) წარადგენს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო კომისართა საბჭოში მოხსენებას ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ აღძრულ საკითხებზე, რაც შინაგან საქ. სახალხო კომისარიატის კომპეტენციას შეადგენს;

ბ) ხელმძღვანელობას გაუწევს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოთა მოქმედებას;

გ) განაგებს და ხელმძღვანელობას გაუწევს საერთო და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციისა და მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილების ორგანიზაციისა და მოქმედების საქმეს;

დ) წარუდგენს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მოხსენებას რესპუბლიკის ამა თუ იმ ადგილას რევოლიუციონური წესრიგის დასაცავად საგანგებო ღონისძიებათა მიღების საჭიროების შესახებ;

ე) გამოსცემს სავალდებულო დადგენილებებს თავის კომპეტენციის ფარგლებში;

ვ) განიხილავს და გადასწყვეტს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ქვემდებარე დაწესებულებათა და პირთა მოქმედებაზე შეტანილ საჩივრებს;

ზ) თვალყურს ადევნებს უცხოელთა უფლებრივ მდგომარეობის მოსაწესრიგებლად გამოცემულ კანონთა და დადებულ საერთაშორისო შეთანხმებათა განხორციელებას;

თ) თვალყურს ადევნებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმ საზოგადოებათა, კავშირთა და შენაერთთა დაარსებას და მოქმედებას, რომელთაც მოგების მიზანი არა აქვთ;

ი) დახმარებას გაუწევს საბჭოთა ხელისუფლების სხვა ორგანოთ მათ ღონისძიებათა იძულებითი წესით განხორციელების საქმეში, აგრეთვე შეასრულებს ყველა სხვა ადმინისტრატიულ ფუნქციას, რაც კანონით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს დაეკისრება.

III. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სტრუქტურა.

7. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შედგენილობაში შედის:

ა) საადმინისტრაციო სამმართველო;

ბ) საპატიმრო ადგილების სამმართველო;

და გ) სამდივნო.

8. თვითეული სამმართველოს სათავეში სდგას სამმართველოს უფროსი, ხოლო სამდივნოს სათავეში—მდივანი.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

9. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ჰყავს ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც მოქმედობენ განსაკუთრებულ დებულებათა ძალით. ეს ორგანოები არიან: სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტების მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილებანი (ბიურო), მ/გ. მილიციის სამაზრო, საქალაქო და სარაიონო სამმართველოები და სხვადასხვა სახის შრომა-გასწორების დაწესებულება.

IV. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოების გამგებლობის საგანი.

10. საადმინისტრაციო სამმართველო დაიყოფა შემდეგ განყოფილებებად:

ა) საადმინისტრაციო განყოფილება;

ბ) მილიციის განყოფილება (მაძიებელი და საუწყებო მილიციისა);

გ) საუცხოეთო განყოფილება;

დ) მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილება (მმაჩი);

ე) სახანძრო ინსპექცია;

ვ) სამობილიზაციო განყოფილება.

11. საადმინისტრაციო განყოფილებას დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ადმინისტრატიული ხასიათის დადგენილებათა და განკარგულებათა განხორციელებას და სათანადო დაწესებულებათა და პირთა მიერ ზედმიწევნით შესრულებას;

ბ) მოაწყოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს რევოლიუციონური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვას;

გ) ზედამხედველობა გაუწიოს აღმ. კომ-ტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა სისწორით გამოცემას და განაპროტესტოს დადგენილებანი ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში და სახალხო კომისართა საბჭოში;

დ) თვალყური ადევნოს ყრილობებისა და თათბირების მოწვევის წესს და ნება დართოს რესპუბლიკანური ხასიათის ყრილობების მოწვევას, აგრეთვე ხელმძღვანელობა გაუწიოს კლუბებისა, სანახაობებისა, კრებებისა, სხვადასხვა გასართობისა, მანიფესტაციებისა, პროცესიებისა და სხვ. მოწყობისათვის ნებართვის გაცემას;

ე) თვალყური ადევნოს ვაჭრობის მოსაწესრიგებლად გამოცემული წესების შესრულებას;

ვ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა მიერ შტამპებისა და ბეჭდების სარგებლობის საქმეს და მოაწყოს კონტროლი ამ შტამპებისა და ბეჭდების დამზადებისათვის;

ზ) ხელმძღვანელობა გაუწიოს სტიქიური უბედურების თავიდან აცდენისა და ლიკვიდაციისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს იმ კანონების განხორციელების საქმეში, რაც სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორებას შეეხება;

ი) თვალყური ადევნოს სამისამართო ბიუროების მოქმედებას, ვინაობის მოწმობების გაცემას და საბინაო დავთრებში მოქალაქეთა ჩაწერას;

კ) მოამზადოს საქმეები ადმინისტრატიული გადასახლების შესახებ, და წარუდგინოს ეს საქმეები სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან არსებულ განსაკუთრებულ თათბირს და, აგრეთვე, აღასრულოს დადგენილებები და განაჩენები გადასახლების შესახებ;

ლ) განიხილოს ყოფილ პოლიციელთა და საარჩევნო უფლებამოკლებულ სხვა პირთა საქმეები მათი უფლების აღდგენის შესახებ და წარუდგინოს ეს საქმეები გადასაწყვეტად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს;

მ) განიხილოს იმ საზოგადოებათა წესდებები, რომელთაც მოგების მიზანი არა აქვთ, გაატაროს ეს საზოგადოებანი რეგისტრაციაში და ზედამხედველობა გაუწიოს მათ მოქმედებას.

12. მილიციის და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის განყოფილებას დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს ყველა იმ ფუნქციის სისწორით შესრულებას, რაც დაკისრებული აქვთ მილიციის ორგანოებს;

ბ) თვალყური ადევნოს სამილიციო სამსახურის აღსრულებას და გაუწიოს აგრეთვე ინსტრუქტორობა და ინსპექტორობა მილიციის ადგილობრივ ორგანოებს;

გ) შეიმუშაოს მილიციის შტატები და ყველა ის საკითხი, რაც ეხება მილიციის შევსებას როგორც პირადი შედგენილობით, ისე ცხენებით და აგრეთვე ამ პირადი შედგენილობისა და ცხენების აღნუსხვა;

დ) შეიმუშაოს ნორმები მილიციის მომარაგებისათვის სხვადასხვა გვარი კმაყოფით;

ე) დანიშნოს და გადააყენოს არსებული წესისამებრ მილიციის უფროსთა შედგენილობა;

ვ) მოაწყოს საუწყებო მილიცია და ხელმძღვანელობა გაუწიოს მას;

ზ) ხელმძღვანელობა გაუწიოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან და სამაზრო მილიციის მარქაფებთან არსებულ მილიციის სკოლებს, და აგრეთვე შეიმუშაოს და დაამტკიცოს მათთვის პროგრამები;

თ) მიიღოს სათანადო ღონისძიებანი მილიციის რიგებში დისციპლინის განმტკიცებისათვის;

ი) მოახდინოს მოკვლევა, შინაგან საქ. სახ. კომისარის წინადადებით, განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობის დანაშაულის საქმეზე და აგრეთვე ადგილობრივი მილიციის თანამშრომელთა მიერ ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულის საქმეებზე;

კ) ხელმძღვანელობა გაუწიოს მილიციის ადგილობრივ ორგანოებს რევოლიუციონური წესრიგისა და უშიშროების დარღვევისათვის მიმართული დანაშაულის თავიდან აცილებისა, აღმოჩენისა და გამოკვლევის საქმეში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ) თავი მოუყაროს ბანდიტიზმისა, ყაღბი ფულის მოჭრისა და სხვა განსაკუთრებულად მნიშვნელოვან დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო მასალას, შეიმუშაოს ამ დანაშაულთა წინააღმდეგ სისტემატიური ბრძოლის გეგმა და განახორციელოს თვით ეს ბრძოლა;

მ) აწარმოოს ცენტრალური დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია, მიიღოს ღონისძიება იმ დამნაშავეთა მოსაძებნად, რომელნიც რესპუბლიკის ფარგლებში იმალებიან, მოამზადოს სპეციალისტი რეგისტრატორები და ამ რეგისტრატორებით შეავსოს მაძიებელი მილიციის რიგები.

18. საუცხოეთო განყოფილებას დაეკისრება:

ა) წინასწარ განიხილოს საკითხი უცხოელთა მიღებისა საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლ. მოქალაქეებად და საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ;

ბ) თვალყური ადევნოს იმ კანონებისა და საერთაშორისო შეთანხმებების განხორციელებას, რითაც მოწესრიგდება უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა;

გ) გასცეს ვიზები და საუცხოეთო პასპორტები;

დ) აწარმოოს საქმე ოპტაციისა და რეპატრიაციის შესახებ.

14. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებას დაეკისრება:

ა) ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გაუწიოს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის საქმეში, მიაწოდოს მათ საამისო ინფორმაცია და გაუწიოს ინსტრუქტიობა, რევიზია და ზედამხედველობა სამაზრო არქივების ორგანიზაციას;

ბ) შეადგინოს და აწარმოოს იმ პირთა საერთო სია, ვინც რეგისტრაციაში გატარებულია საქართველოს სსრ ფარგლებში, და საქართველოს იმ მოქალაქეთა სია, ვინც გატარებულია რეგისტრაციაში საზღვარ-გარეთ;

გ) თვალყური ადევნოს, რათა ადგილებიდან თავის დროზე იქნეს წარმოდგენილი მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების მეორე ცალი;

დ) სისტემაში მოიყვანოს და განაგოს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ერთიანი ცენტრალური არქივი;

ე) მიაწოდოს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ადგილობრივ ორგანოებს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრები დაწესებული ფორმით;

ვ) გასცეს ცენტრალური არქივიდან ყოველგვარი ცნობა და მოწმობა მოქალაქობრივი მდგომარეობის ყოველგვარი აქტის შესახებ;

ზ) გამოითხოვოს, საჭიროების და მიხედვით, მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ამონაწერი იმ დაწესებულებიდან, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეშე იმყოფება და რომელსაც, არსებული წესისამებრ, ამა თუ იმ აქტის რეგისტრაცია მოუხდენია, და მისცეს ეს ამონაწერი დაინტერესებულ პირს;

თ) ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა გაუწიოს მობილიზაციით გაწვეულთა და ჯარში გასაწვევ პირთა სიების შედგენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. სახანძრო ინსპექციას დაეკისრება საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ხანძართან ბრძოლას. აღნუსხოს და გაანაწილოს სახანძრო ქონება; ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გაუწიოს ცეცხლის მქრობელი რაზმისა და სხვა სახანძრო ორგანიზაციის შენახვა-გამგებლობის საქმეს.

შენიშვნა. სახანძრო ინსპექცია მოქმედობს განსაკუთრებული დებულების თანახმად.

16. სამობილიზაციო განყოფილება შეასრულებს ყველა იმ ფუნქციას, რაც გათვალისწინებულია ამ განყოფილებისათვის გამოცემულ განსაკუთრებული დებულებით.

17. საადმინისტრაციო სამმართველოსთან არსებობს მილიციის უფროსთა შედგენილობის სკოლა, რომელიც მოქმედობს განსაკუთრებული დებულების თანახმად.

18. საპატიმრო ადგილების სამმართველოს დაეკისრება:

ა) მოაწყოს და შეინახოს საპატიმრო ადგილები და ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ მუშაობას;

ბ) ხელმძღვანელობა გაუწიოს საპატიმრო ადგილებში კულტურულ-განმანათლებელი საქმის დაყენებას და განახორციელოს აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებანი;

გ) მოაწყოს საპატიმრო ადგილებში წარმოებები და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ საქმეს;

დ) ინსტრუქტიობა და ინსპეკტიობა გაუწიოს საპატიმრო ადგილებს;

ე) ხელმძღვანელობა გაუწიოს საპატიმრო ადგილების ყოველგვარი კმაყოფით მომარაგების საქმეს;

ვ) მიიღოს ღონისძიებანი საპატიმრო ადგილების თანამშრომელთა შორის დისციპლინის განსამტკიცებლად;

ზ) განიხილოს პატიმართა საჩივრები და განცხადებები;

შენიშვნა. საპატიმრო ადგილების სამმართველო მოქმედობს ამა დებულებისა და შრომა-გასწორების კოდექსის თანახმად.

19. საპატიმრო ადგილების სამმართველოსთან არსებობს:

ა) ცენტრალური განმანაწილებელი კომისია;

ბ) იძულებითი მუშაობის ბიურო;

გ) პენიტენციალური საბჭო და

დ) პატიმართა და პატიმრობიდან განთავისუფლებულთა დახმარე კომიტეტი.

20. ცენტრალური განმანაწილებელი კომისია და იძულებითი მუშაობის ბიურო მოეწყობიან იმ წესით და ასრულებენ იმ ფუნქციებს, რაც გათვალისწინებულია შრომა-გასწორების კოდექსით.

21. პენიტენციალური საბჭო განიხილავს პატიმართა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისა და გამასწორებელი საქმის ახალ საფუძველზე დაყენების ყველა საკითხს.

22. პატიმართა და პატიმრობიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტი მოქმედობს ცალკე დებულების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. სამდივნო.

23. სამდივნოს დაეკისრება:

ა) აღნუსხოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პირადი შედგენილობა, შეადგინოს ბრძანებანი და აწარმოოს მთელი მიწერ-მოწერა კომისარიატის თანამშრომელთა სამსახურში მიღება-დათხოვნისა, წარვლინებისა, შვებულებისა და, საერთოდ, თანამშრომელთა მოძრაობისა და შინაგანი წესრიგების საკითხების შესახებ;

ბ) აწარმოოს ყველა ის საქმე, რაც კომისარიატის სხვა განყოფილების მოვალეობას არ შეადგენს, ან რასაც აქვს საერთო მნიშვნელობა კომისარიატის ყველა განყოფილებისათვის;

გ) გაუწიოს კომისარიატს იურიდიული მოსამსახურეობა და აწარმოოს მისი სასამართლო საქმეები;

დ) შეჰკრიფოს და დაამუშაოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საგამგებლო საკითხების სტატისტიკური მასალები;

ე) განაგოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის არქივი და გაანაწილოს განყოფილებათა შორის კომისარიატში მიღებული ფოსტა;

ვ) შეიმუშაოს საქმის წარმოების რაციონალურად დაყენების საკითხები და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ მხრივ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კანცელარიას.

24. სამდივნოსთან არსებობს საანგარიშო ნაწილი, რომელსაც დაეკისრება:

ა) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საუწყებო ხარჯთაღრიცხვის შედგენა;

ბ) ყოველგვარი კრედიტების მიღება და დანიშნულებისამებრ განაწილება და გაცემა;

გ) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატსა და მისი ქვემდებარე დაწესებულებების თანამშრომლებისათვის ყოველგვარი კმაყოფის მიცემა, მათგან ანგარიშების მოთხოვნა და ამ ანგარიშების შემოწმება;

დ) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყველა სამეურნეო საჭიროების დაკმაყოფილება;

ე) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და მისი ქვემდებარე დაწესებულებების მთელი ქონების აღნუსხვა და შეფასება და სათანადო დავთრების წარმოება;

ვ) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ქვემდებარე დაწესებულებებისათვის საფინანსო და სამეურნეო სფეროში ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

145. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 78 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სანაპირო ადგილების აღმასრულებელი კომიტეტებისათვის კონტრაბანდისტების ადმინისტრატიული წესით განდევნის უფლების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის (1923 წ. რედაქცია) 83 მუხლის განსავითარებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. უფლება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ის და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს სსრ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს სანაპირო ადგილებში—გამოიტანონ ხოლმე დადგენილება მათი ტერიტორიის გარგლებში მდებარე ადგილების ორმოცდაათ-კილომეტრიანი სანაპირო ზოლიდან იმ პირთა ადმინისტრატიული წესით განდევნის შესახებ, რომელნიც შეპყრობილ იქნებიან განმეორებითი კონტრაბანდის დროს.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული დადგენილება გამოიტანება საბაჟო დაწესებულებისა ან გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სანაპირო დაცვის ორგანოს წარდგენით, რის შესახებაც უნდა იყოს დასკვნა აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის ან მაზრის პროკურორისა—კუთვნილებისამებრ.

3. უკეთუ საჭირო იქნება ზემოაღნიშნულ პირთა განდევნა 1-ლ მუხლში დასახელებული ორგანოების ტერიტორიის გარეშე, ამ ორგანოების დადგენილება განდევნის შესახებ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით, წარედგინება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად.

4. უკეთუ განდევნა უნდა მოხდეს საქართველოს სსრ საზღვრებიდან, მთელი მიწერ-მოწერა საქმის შესახებ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით, გაიგზავნება ამეირკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკურ სამართველოსთან არსებულ განსაკუთრებულ თათბირში სათანადო დადგენილების გამოტანისათვის.

5. იუსტიციის სახალხო კომისარიატმა და სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ უნდა გამოსცენ ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომ. საბჭ. თავმჯდომარის მოად. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. სექტემბრის 19.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისარიატ საბჭოს დადგენილებანი.

146. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

საგეგმო წესისამებრ შეშის დამზადების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხე-ტყის საშეშედ დამზადება უნდა სწარმოებდეს საგეგმო წესით.

2. დაევალოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე კოოპერატიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციას წარუდგინოს ხოლმე ყოველწლივ, არა უგვიანეს მარტის 1-სა, განცხადება მისთვის მომავალი საბიუჯეტო წლის განმავლობაში საჭირო შეშის რაოდენობის შესახებ ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საქართველოს სსრ-ში.

3. დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (საქართველოს სსრ-ში) ერთად, შეადგინოს ყოველწლიურად არა უგვიანეს ივლისის 1-ისა მომავალი საბიუჯეტო წლისათვის ხე-ტყის საშეშედ დამუშავების გეგმა და წარუდგინოს იგი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

შენიშვნა. პირველი გეგმა ტყის დამუშავებისა 1928/29 საბიუჯეტო წლისთვის შედგენილ და სახალხო კომისართა საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1928 წ. ნოემბრის 15-სა.

4. დაევალოს შეშის მომხმარებელ ყველა დაწესებულებასა, საწარმოს და ორგანიზაციას დაამთავროს ხოლმე ყოველწლიურად არა უგვიანეს სექტემბრის 15-სა ხელშეკრულობის დადება შეშის ყიდვა-მიწოდების თაობაზე.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ტყის მრეწველობის ტრესტს მიიღოს ყოველი საჭირო ღონისძიება მთლად შეშის ბაზრის ხელში დასაჭერად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. სექტემბრის 14.
ტფილისი—სასახლე.

---

147. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

უწყებათა და დაწესებულებათა საკონტროლო-სარევიზიო და საგამოკვლევო მუშაობის საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან და მის ორგანოებთან (აფხაზეთის სსრ-ში, აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში) დაკავშირების შესახებ.

საქართველოს სსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლქის უწყებათა და დაწესებულებათა საკონტროლო-სარევიზიო და საგამოკვლევო მუშაობაში მრავლიანობისა, პარალელიზმისა და შეუთანხმებლობის ასაცილებლად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის უწყება-დაწესებულებათა საკონტროლო-სარევიზიო და საგამოკვლევო მუშაობა გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატთან, ხოლო შემავალ რესპუბლიკებსა და ოლქში აღნიშნული სახალხო კომისარიატის რწმუნებულებთან შეთანხმებულ წლიურ გეგმებში.

შენიშვნა. წლიურ გეგმაში არ შეიტანება ის საკონტროლო სამუშაო, რაც გატარებულ უნდა იქნეს მიმდინარე საოპერატივო საგამგებლო მოქმედების პროცესში. ასეთი სამუშაოს წრეს თვითეული უწყება და დაწესებულება განსაზღვრავს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ზემოაღნიშნულ ორგანოებთან შეთანხმებით.

2. უწყებისა და დაწესებულების მიერ საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში და მის ზემოაღნიშნულ ორგანოებში შესათანხმებლად წარდგენილი წლიური გეგმა საკონტროლო-საგამოკვლევო და სარევიზიო მუშაობისა უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად ცნობებს:

ა) გამოკვლევის ან რევიზიის მიზანს, მოცულობას და ობიექტს;

ბ) საგამოკვლევო ან საკონტროლო მუშაობის ვადებს;

გ) სარევიზიო კომისიების ან საკონტროლო აპარატების შედგენილობას.

3. მიღებულ უნდა იქნეს საერთო წესად, რომ უწყებასა და დაწესებულებას თავის ანგარიშვალდებულ დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციის მიმართ შეუძლიან მოახდინოს ამა თუ იმქვემდებარე ობიექტის გამოკვლევა ან რევიზია არა უმეტეს, ვიდრე წელიწადში ერთხელ, თანაც იმ პირობით, რომ გამოკვლევა თუ რევიზია სწარმოებდეს ერთი თვის ვადაზე არა მეტ ხანს. ამ წესის ყოველგვარი გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა ან მისი რწმუნებულების (საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში და ოლქში) ნებართვით.

4. ყველა გეგმის-გარეშე რევიზიისა და გამოკვლევის შესახებ უწყება და დაწესებულება მოვალეა წინასწარ აცნობოს შესათანხმებლად 1-ლ მუხლში აღნიშნულ ორგანოებს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციისას.

5. უკეთუ საქმის გადადება შეუსაბამია, უწყებასა და დაწესებულებას შეუძლიან აწარმოოს საკონტროლო-სარევიზო და საგამოკვლევო მუშაობა საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან წინასწარ შეუთანხმებლადაც, ხოლო ამავე დროს უნდა აცნობოს ეს აღნიშნულ სახალხო კომისარიატს. ასეთ შემთხვევაში, უკეთუ მოხდა პარალელიზმი ამა თუ იმ სარევიზიო-საკონტროლო ან საგამოკვლევო მუშაობასა და სხვა უწყებათა მუშაობას შორის,—საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს და აგრეთვე მის რწმულებულებს აფხაზეთის სსრ-ში, აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—კუთვნილებისამებრ —უფლება აქვთ შეაჩერონ, სამი დღის ვადაზე, ეს მუშაობა ან მიიღონ სათანადო ღონისძიება პარალელიზმისა თუ შეუთანხმებლობის თავიდან ასაცილებლად.

6. გამოკვლევის პროცესში უწყებასა და დაწესებულებას შეუძლიან მოსთხოვოს კანტროლის ქვეშ მყოფ გამოსაკვლევ ორგანოს ცნობების წარდგენა მხოლოდ იმ ფორმების მიხედვით, რაც დაწესებულია ნორმალური ანგარიშგებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. სხვა ფორმით ცნობების მოთხოვნა შეთანხმებულ უნდა იქნეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებთან.

7. საგამოკვლევო მუშაობის შედეგებს, დასკვნითა და წინადადებითურთ, საუწყებო საკონტროლო ორგანო წარუდგენს სათანადო ცენტრალურ დაწესებულებას; თანაც დასკვნისა და წინადადებების ასლს იგი იმავე დროს გაუგზავნის 1-ლ მუხლში აღნიშნულ ორგანოებს მუშათა და გლეხთა ინსპექციისას.

8. საკონტროლო-საგამოკვლევო და სარევიზიო მუშაობით მიღებული გამოცდილების თანაზიარობისა და ამ მუშაობის მოწესრიგებისათვის საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან არსდება მუდმივი თათბირი საუწყებო საკონტროლო-სარევიზიო ორგანოების წარმომადგენელთაგან. თათბირი მოქმედობს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის ერთ-ერთი წევრის თავმჯდომარეობით და მოიწვევა მის ძიერ პერიოდულად.

შენიშვნა. თათბირის დადგენილებანი დამტკიცდება მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ და გაეგზავნება ყველა დაინტერესებულ უწყებასა და დაწესებულებას ცნობად და სახელმძღვანელოდ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. ოქტომბრის 5.
ტფილისი—სასახლე.

---

148. დადგენილება ს. კ. ს.

მშენებლობის საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების მიჩენის ვადების შესახებ.

სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ „1929 წლის საამშენებლო სეზონისათვის მომზადების შესახებ“ 1928 წ. ივლისის 27-ს თარიღით გაცემული (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 48 №-რი, მუხ. 433) დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს კომუნალურ და საადგილმამულო ორგანოებს გადასწყვიტონ ხოლმე, ორი კვირის განმავლობაში დღიდან სათანადო განცხადების მიღებისა, საკითხი სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და შერეულ სააქციო საზოგადოებათათვის მიწის ნაკვეთების მიჩენის შესახებ მათ მიერ წარმოებული მშენებლობისათვის, იმ პირობით-კი, რომ უკეთუ განცხადება დაკმაყოფილებულ იქნა, ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის მიჩენის შესახებ დაიდოს არა უგვიანეს ერთი თვისა განცხადების შეტანის დღიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. ოქტომბრის 19.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

149. დადგენილება ს. კ. ს.

საადმინისტარციო-საგამგებლო ხარჯების შემცირების თაობაზე მთავრობის მიერ გაცემული დირექტივების განხორციელების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს 1928/29 წ. ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტისა და 1927/28 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის დროს გამოარკვიოს, რამდენად იქნა დაცული ადგილობრივი ორგანოების მიერ მთავრობის დირექტივები 1927/28 წ. ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შესახებ.

2. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმის გამოკვლევას, ხომ არ ყოფილა ბიუჯეტის ასრულების პროცესში საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯები გადიდებული ოპერატიული თუ სხვა ხარჯების შემცირების საშუალებით.

3. 1928/29 საბიუჯეტო წლისათვის საადმინისტრაციო-საგამგებლო კრედიტების გამოანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედვას ამავე ხარჯებისათვის 1927/28 წ. ძირითადი ბიუჯეტით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა და მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივი ორგანოების მიერ 1927/28 წ. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების გადიდება.

4. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა მტკიცე მეთვალყურეობა უნდა გაუწიოს ადგილობრივ ორგანოებს, რათა მათ მთავრობის ზემოაღნიშნული დირექტივები ზედმიწევნით და ურყევად განახორციელონ.

5. ის, ვინც არ შეასრულებს მთავრობის ზემოაღნიშნულ დირექტივებს, პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული არსებული წესისამებრ.

6. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს—მოხსენება წარუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს ამა დადგენილების თანახმად წარმოებული გამოკვლევის შედეგების თაობაზე.

საქართველოს სახალხო ... ტფილისი ... ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. ოქტომბრის 19.
ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სახ. კომის. საბჭოს საქმეთა მმართველობის ს ტ ა მ ბ ა
მთავლიტი 2.055 ტირაჟი 1.250